

როგორ გავაუმჯობესოთ სკოლამდელი აღზრდის საფეხურზე ბავშვების
ჩართულობა მცირე ჯგუფებში გენდერის კუთხით

ნინო ალელიშვილი
თამარ ბაქრაძე
ქეთევან ფიცხელაური

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად
განათლების ადმინისტრირება*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ ბრეგვაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2015

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ქეთევან ფიცხელაური
ნინო ალელიშვილი
თამარ ბაქრაძე
06. 07. 2015

აბსტრაქტი

თანამედროვე სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებულ საზოგადოებაში მნიშვნელოვანია ადამიანების თანასწორობა, მიუხედავად მათი წარმომავლობის, სოციალური კლასისა და ინდივიდუალური თავისებურებებისა. თანასწორობის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია გედნერული ბალანსი, რაც გულისხმობს ქალისა და მამაკაცის თანაბარ ჩართულობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ამ პრინციპის განსახორციელებლად მნიშვნელოვანია, ოჯახებსა და სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბავშვების ისე აღზრდა, რომ ქალისა და მამაკაცის როლების შესახებ არსებული სტერეოტიპებისგან იყვნენ თავისუფალნი. მიზნის მისაღწევად დაცული პირობები კი გულისხმობს მათი თანაბარი შესაძლებლობებით უზრუნველყოფასა და სხვადასხვა ტიპის აქტივობაში ჩართვას ინტერესების გათვალისწინებით.

ეს ნაშრომი იკვლევს სკოლამდელ დაწესებულებაში ბავშვების მცირე ჯგუფებში ჩართულობას გენდერის კუთხით, კერძოდ კი, რა პრინციპებსა და მეთოდებს იყენებენ აღმზრდელები ბავშვების გადანაწილებისას აქტივობათა ცენტრებში, არის თუ არა ბავშვების არჩევანი განპირობებული და წახალისებული აღმზრდელების მიერ და რა გზებით, როგორ უნდა მოხდეს ბავშვებისათვის მაქსიმალური თავისუფლების უზრუნველყოფა და, ამავდროულად, მათი განვითარების ხელშეწყობა.

კვლევა ჩატარდა თბილისის ერთ-ერთი ბაღის 3-4 და 4-6 წლიანთა ასაკობრივ ჯგუფში. კვლევის მეთოდი შერეულია, ძირითადად გამოვიყენეთ ანკეტირება, ჩაღრმავებული ინტერვიუები, ფოკუს-ჯგუფები და დაკვირვება სასწავლო-სააღმზრდელო პროცესზე.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ აღმზრდელები არ ფლობდნენ მრავალფეროვან სტრატეგიებს ბავშვების თემატურ კუთხეებში განაწილებისას, ხშირ შემთხვევაში ძირითადი აქტივობები მიმდინარეობდა ბავშვების მთლიან ჯგუფთან, ისინი

ხშირად გაუცნობიერებლად წარმოთქვამენ სტერეოტიპულ ფრაზებს, იყენებენ მიდგომას, რომლითაც წახალისებდნენ ბავშვების ჩართულობას ამა თუ იმ საქმიანობაში (როგორცაა: კუბურებით მშენებლობა, ოჯახობანას თამაში თუ კულინარია), ისინი ხშირად არგებენ ბავშვებს როლებს, რომლებიც მათ მიერ არის განსაზღვრული და არა ბავშვის მიერ არჩეული.

პროცესში აქტიურად იყო ჩართული ბალის პერსონალი. მნიშვნელოვანია, რომ კვლევის მსვლელობისას და მის შედეგად გააცნობიერეს იმ სიტყვებისა და ქცევის მნიშვნელობა, რაც, ხშირ შემთხვევაში, განაპირობებდა აღსაზრდელების არჩევანს და გაიცნეს ის მეთოდები, რომელთა მეშვეობითაც თავს აარიდებდნენ ბავშვების ამგვარ დაყოფას.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მუშაობა მცირე ჯგუფებში, გენდერული ბალანსი, სკოლამდელი განათლება, თანასწორობა, აქტივობებში ჩართულობა, არჩევანი, სტერეოტიპები.